

საქართველოს კანონი

„პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N22-23, 17 ოქტომბერი, 1996, გვ. 25) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის „უ.ბ“ და „ს“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „უ.ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი ან პროდუქციის ბაზარზე გამომტანი, როდესაც უცხოელ დამამზადებელს არ ჰყავს წარმომადგენელი;“;

ბ) „ს) ბაზარზე გატანა – საქართველოს ბაზარზე პროდუქციის პირველადი განთავსება (ხელმისაწვდომად გახდომა) პროდუქციის გავრცელების ან გამოყენების მიზნით;“.

2. მე-5 მუხლის 5 – 7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. შესაძლებელია, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ან სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით ეკვივალენტად იქნეს მიღებული სხვა ქვეყნის ტექნიკური რეგლამენტი და დაშვებული იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი პროდუქციის ბაზარზე გატანა და ბრუნვა.

6. დასაშვებია პროდუქციის ბაზარზე გატანა და ბრუნვა, თუ ის შეესაბამება აღიარებულ ან ეკვივალენტად მიღებულ ტექნიკურ რეგლამენტებს ან საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებს ან სხვა წესებსა და ნორმებს, რომლებიც ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს პროდუქციის მიმართ.

7. აღიარებული და ეკვივალენტად მიღებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი პროდუქციის ბაზარზე გატანა შესაძლებელია პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში მიღებული შესაბამისობის შეფასების პროცედურით გათვალისწინებული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი